



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/06

მ. თბილისი

28 თებერვალი 2020

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 28 თებერვლის №01-06-02/02 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

- შევიდეს ცვლილებები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) რეგლამენტში, კერძოდ:
 - რეგლამენტის მე-11 მუხლის 11.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


„11.2 შეიქმნას შემდეგი მუდმივმოქმედი კომისიები:

 - საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;
 - სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევით საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;
 - წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მიღებულ დადგენილებათა შესრულებაზე კონტროლის განხორციელების კომისია;
 - სოციალურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;
 - სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია“.
 - რეგლამენტის მე-18 მუხლის 18.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18.2. ოქმი მოიცავს:

 - სხდომის თარიღს;
 - სხდომის წევრების სიას;
 - დღის წესრიგს;
 - მიღებულ გადაწყვეტილებებს;
 - სიტყვით გამომსვლელთა ტექსტის ასახვისათვის ოქმს თან ერთვის სხდომის ჩანაწერი“.
- დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გაბაშვილი